

სამუშაო, 24 სექტემბერი 1918 წ.

შრომა

№ 35

გაზეთის ფასი 40 კაპ.

ფრანგები დასავლეთ ფრონტზე წინ იწევენ გერმანელები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ, ჩეხო-სლოვაკებს ახალი ძალები მიემატა. რუსეთში ტერორი და დახურვა მასიურ ხასიათს ღებულობს. ბაქოს ადების დროს საშინელი ქვლეტა მოხდა.

მარტოვლი
ნიკოლოზი

ორგანო საქართველოში მოქმედ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტისა.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 9 მან. ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.
განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პერიოდით სტრიქონი 1 მან., მეორეზე 80 კაპ. სამ-გლოვარო განცხადება 15 მან.
ხელმოწერილი წერილები არ დაბეჭდვება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: *Tiflis, Kontora Gaz. „Shroma“, Baronskaya ul. № 16.* სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.
რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება 10-11 საათამდე.
რედაქციის მისამართი: *Tiflis, Redakcia gaz. „Shroma“ Baronskaya ul. № 16.*

მიიღება ხალის მოწარა ურავლ-დღიურ გაზეთი

„შრომა“-ზე

გაზეთი ღირს ერთი თვით 9 მანათი.

მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 16 გაზეთ „შრომის“ კანტორა.

სასურნათო საქმის საინსტრო ამით აცხადებს, რომ საჯარო ვაჭრობა მარტივად შესაძლებელია, რომელიც იყო დანიშნული 5 სექტემბერს, არ შესდგა სხვა და სხვა ფორმალურ მიზეზებისა გამო.

სამინისტრო ხელახლა 25 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, იუწყება, რომ სასურნათო სამინისტროს შენობაში მოხდება ხელშეკრულება.

საჯარო ვაჭრობა

სამინისტროსთვის 800,000 ფუთი მარტივად მიწოდების შესახებ (მარტივად უნდა იყოს კრისტალური, მარცვლოვანი) ის ჰიბრი, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა ამ ვაჭრობაში, უნდა გამოცხადდნენ შემოაღნიშნულ დროს სასურნათო საქმის სამინისტროს შენობაში. საჯაროდებულად შექმნილი:

1. საწინდარი არა ნაკლები 5,000 მან, რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო ვაჭრობის დროს.
 2. სახელი, მამის სახელი და კვარი მსურველისა.
 3. დრო, როდის იქნება მოტანილი მარტივი, ხარისხი და კვარი მარტივისა.
 4. ფასი «ფრანკო ვაჭარი» საქართველოს რეინის ვახისა.
 5. პირობები ფულის გადახდისა.
 6. განცხადება უნდა იქნეს შემოტანილი წერილობით დასურულ კონვერტებში 23 სექტემბერს 12 საათზე კონსტანტინეპოლში უნდა იყოს დაწერილი: სასურნათო საქმის სამინისტრო — მიწოდებულ განყოფილების უფროსს.
- გზათა მიმოსვლის და სასურნათო საქმის მინისტრი — ლორთქიფანიძე. მიმწ. განყ. უფროსი — ადანიანი.

მედიი ი. კ. ავაკელია
შინაგანი ავადმყოფობა.
განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულ-მკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა.
ამოცნობა (დიანოზი) და წამლობა ყოველ გვარი ქლექისა, სისხლნაკლებობისა და მალარიისა.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4 1/2 — 6 საათამდე.
პეტრი დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5-86

მ. თბილისი, 24 სექტემბერი.
ბაქოს ადების შემდეგ სომხეთის მდგომარეობა უფრო ტრაგიკული და აუტანელი ხდება. ერი, რომელსაც გასაქანი არა აქვს, ახალი განსაცდელისა და მუქარის წინაშე სდგას. ამას აშკარად მოწმობს ნური ფაშის მოწოდება. გამარჯვებული ფაშა სომხებს მოწოდებით მიმართავს და მუქარის კილოთი მოით-

ხოვს მივან სრულს მოჩილებას. ის კარგად გრძობს, რომ მდგომარეობის ბატონია. ამიტომ „სინდიკატის გასაწმენდათ“ აფრთხილებს მცხოვრებთ. ის წინადადებას აძლევს სომხებს ხელი აიღონ გამოსვლაზე და ფარულ აფრთხილებაზე. უბეში ძალადობის წინააღმდეგ ბუნებრივი და სამართლიანი პროტესტი მის პროვოკაციით მიიჩნია.

მთელი მოწოდებიდან აშკარაა, რომ მცხოვრებთ საშინელი უბედურება და რისხვა დაატყდებოთ თავს, თუ კი ისინი არ ასრულებენ ფაშის ყოველივე კარბის. ის არ სცნობს სიკოცხლისა და ქონების არაფთარ გარანტიას. საკმარისია სულ უმნიშვნელო რამ, რომ მუქარა ტრალიკულ სინამდვილეთ იქცეს და სომხის ერი ბაშინიუბებში სისხლი ჩაახრჩონ. ასეთია მდგომარეობა. ის მტად სერიოზულია, მაგრამ გვწამს სომხის დემოკრატიის ჯანსაღი ელემენტები არ აპყვებიან ბრმა პოლიტიკანებს და პროვოკაციას, გვწამს ის გამონახავს მომენტის შესაფერ პოლიტიკას, რომელზედაც დაიმსხრევა ფაშების ცბიერი გეგმები.

გლოკი.

როდესაც საერობო არჩევნები მზადდებოდა, ყველა სოციალისტურ პარტიის წინაშე სამართლიანად დისცა საკითხი შეთანხმებულად გამოსვლის შესახებ. ატმოსფერო გავარჯობებული იყო, და ასეთ დროს ურთიერთ ბრძოლა და მკაცრი კრიტიკა დადებით შედეგებს ვერ მოგვცემდა. ამიტომ იყო, რომ ჩვენმა პარტიულმა ყრილობამ იფინსში დაადგინა არჩევნებისთვის სოციალისტურ ბლოკში შესვლა. ერობა არის ასპარეზო კულტურული მუშაობისა, და ამ მუშაობაში უპირველეს ყოვლისა არის საჭირო შეთანხმება. მაგრამ ამისათვის აუცილებელია, რომ ერთმა პარტიამ არ მიინდომოს გვეგონიის განმტკიცება, საჭიროა რომ ერთმა ჯგუფმა არ ჩაახრჩოს სწრაფვანი მეორესი; საჭიროა, რომ ამ შეთანხმებულ მუშაობის სარგებლობას ყველა ჯგუფი გრძობდეს და აქეთენ მიისწრაფოდეს. საჭიროა, რომ ამ შეთანხმების სურვილი ქონდეს არა მარტო უმცირესობას არამედ უმრავლესობას პარტიის. მაგრამ თუ ერთმა ჯგუფმა მიინდომა რაიმე და წესებს უღებდაში აბსოლუტიური უმრავლესობის შექმნა, ცხადია მას არა აქვს სურვილი შეთანხმებული მუშაობისა. ასეთ პირობებში უმცირესობას უკეთეს შეთანხმებაში შეუძლია მრჩევლის როლი შეასრულოს, მის რჩევა დარიგებას ან მიიღებს უმრავლესობის პარტია, ან უარყოფს, თანახმად თავისი კარბისა. ასეთ პირობებში უმცირესობის ჯგუფს არ შეუძლია აქტიური პოლიტიკის წარმოება, ვინაიდან მას გზას გადაუჭრიან უმრავლესობის თითები. ასეთ პირობებში „შეთანხმებული“ მუშაობა მხოლოდ მარჩალობასა და მონური პოლიტიკის წარმოებას ნიშნავს. ეს კარგად გაითვალისწინა ჩვენმა პარტიულმა ყრილობამ და

შეთანხმების ერთ უმთავრეს პირობათ წამოაყენა მითრთონილება, რათა მენ-შევიკებს არ ყოლოდათ ხმისნების ნახევარზე მეტი. მეორე ნახევარი უნდა განაწილებულიყო სხვა პარტიათა შორის. ეს რატომ უნდა არ მოსთუფეს ბატონობას ჩვეულებამ მენშევიკებმა და ჩვენც არ მოვხვდით ბლოკში. მაგრამ აქ საყურადღებოა ერთი მხარე ჩვენი ყრილობის დადგენილებისა, რომელიც ამბობს: სასურველია ბლოკი ყველა სოციალისტური პარტიებისა, მაგრამ თუ რომელიმე სოც. პარტია დარჩა ბლოკს გარეშე, იმ შემთხვევაში არც ჩვენ შევდივართ ბლოკში.

ასეთი დადგენილება იქნა გამოტანილი ორი მოსაზრებით: 1) ბლოკში შესვლის მიზანი იყო პარტიული ბრძოლის მორიდება. მაგრამ თუ რომელიმე სოც. პარტია დარჩებოდა ბლოკს გარეშე, ის აუცილებლად აწარმოებდა ასეთ ბრძოლას და მათსადაშე მიზანი მიღწეული არ იქნებოდა და ბლოკი აზრს კარგავდა. 2) თუ ბლოკს გარეთ დარჩებოდნენ, ესთქვით, ფედერალისტები, მათ წინააღმდეგ მენშევიკებთან ერთად ბრძოლა უზერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდა ჩვენს პარტიას. როდესაც მიტინგზე ფედერალისტი გადაულია აფარულ პროგრამას, და მის წინააღმდეგ გაილაშქრებდა, მენშევიკი რომელიც თავისებურის დემაგოგიით დაუწყებდა ჩვენს მიწის პროგრამას თრევას, ჩვენ იძულებული ვიქნებოდით ან მხარი დაგვეჭირა მისთვის, ან პირში წყლი დაგვეგუბებოდა და გულრილად მოგვესმინა ჩვენი წმინდათა წმინდის შეურაცყოფა. ერთი სიტყვით ჩვენ აქტიურად თუ არა, პასიურად მაინც უნდა გვებრძოლა მენშევიკებთან ერთად ჩვენი საკუთარი პროგრამის (მაგ. მიწის სოციალიზაციის) წინააღმდეგ. ეს კი მიუტევებელი იქნებოდა პოლიტიკური პარტიისათვის. ამიტომ, თუ ფედერალისტები არ მოხვდებოდნენ ბლოკში, არც ჩვენ შევიდოდით ასეთ ბლოკში. ასეთი იყო მოსაზრებანი, რომელზედაც ჩვენმა პარტიულმა ყრილობამ დაამყარა თავისი რეზოლუცია. გაითვალისწინეს თუ არა ეს უკანსწინელი გარემოება ფედერალისტებმა? არა, ან ვერა. ვერ გაითვალისწინეს და როდესაც მენშევიკები ჩვენს პროგრამას ებრძოდნენ (რომელსაც ფედერალისტები თავისათ აღიარებენ) ფედერალისტები ან გაჩუმდებიდნენ, ან და მათ მხარს უმშვენებდნენ. არის თუ არა ეს ღალატი საკუთარი მსოფლმხედველობისა (თუ კი ასეთი მოეპოვება) და ბრძოლა საკუთარი პროგრამის წინააღმდეგ? ცხადია არის, როდესაც, მაგ. სოფ. მალაკაში ფედერალისტების წარმომადგენელი ჩხარს უმშვენებდა მენშევიკს და ხალხს ეუბნებოდა: „სოც.-რევოლუციონერები თქვენ გატყუებენ, მათი პროგრამა არ განხორციელდება, ჯიბით ხომ არ მოგიტანებენ მიწასო“ — იყო თუ არა ეს ბრძოლა საკუთარი პროგრამის წინააღმდეგ? იყო. ვანა ამაზე მეტი განადგურება პარტიის შეიძლება? მეტი ვინ ჩააყენა პოლიტიკური პარტია ასეთ უზერხულ მდგომარეობაში? ახლა ვიკითხოთ, რა მიიღეს საამისო ფედერალისტებმა? საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ არჩევნებს ახასიათებდა უმაგალითო აბსენტეიზმი, მაგრამ ეს აბსენტეიზმი ჩვენი პარტიისათვის არ არსებობდა. ჩვენ

მაგ. ქუთაისის მხარაში სამჯერ მეტი ხმა მივიღეთ, ვიდრე დამფუძნებელ კრების დროს. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ჩვენ ხმას ვაძლევდა და გვადლებს შეგნებული პარტიული ამხანაგები. და სხვანაირათ არც შეიძლება იყოს, ვინაიდან შეუგნებელი ნაწილი ყოველთვის უმრავლესობის პარტიაში იყრის თავს. მოიგონეთ ვინ აძლევდა ხმას შარშან პიოველ ნომერს. ზოგი შიშით, ზოგი ისე აყოლით. შეუგნებელი ნაწილი უფრო ექვემდებარება შიშს და ამისთან ასე მსჯელობს: საითაც უმრავლესობა, მეც იქითა იმ დღისის დროს, რომელსაც განიცდიდნენ სხვა პარტიები არჩევნების დროს, მხოლოდ რჩეულებს შეგნებული ჩვენთვის ხმა მოეცათ. ისინი მაშინაც ჩვენი შეგნებული ამხანაგები იყვენ და ახლაც ასეთივე არიან. ასევე იოქმის სხვა უმცირესობის პარტიებზედაც. სულ სხვა იყო მდგომარეობა მენშევიკებისა. მათ ხალხს ბრძოლა და შიშით მსჯეობდა, ეს იყო მასის ინერცია და მეტა არაფერი. იქ შეგნება ძალიან ცოტა როლ თამაშობდა. ამიტომ ასეთი მასა უცხად ან გაბოლშევიკდა, ან გაკონტროვებული იქნებოდა, უფრო შეგნებული ნაწილი ჩვენთან მოვიდა და კიდევ განაგრძობს სვლას. ცხადია აბსენტეიზმი სწორეთ ამ მასაში იყო ფეხვადგმული. ე. ი. აბსენტეიზმს მენშევიკების ხარჯით ქონდა ადგილი. ამას ნიოლოთ მოწმობს არჩევნების შედეგი.

მანი.

პრესა

როგორც მკითხველებმა იციან, ეროვნულ დემოკრატიული პარტია ორად გაიყო. პარტიის რეაქციონერი ნაწილი ცოლკე გაიქცა და დაარსა „დამოუკიდებელი ეროვნული დემოკრატიული პარტია“, ამ ჯგუფის ორგანო გაზეთი „კლდე“ ასე ახასიათებს პარტიის მეორე ნაწილს, ბურჟუაზიულ ჯგუფს:
„ჩვენი პარტიის პროგრამას და ტაქტიკას არღვევდა ის „მემარცხენე“ ფლანგი, რომელიც მუდამ პარტიის „ბურჟუაზიული“ რეორგანიზაციაზე ვაპკიოდა და მუდამ მარცხდებოდა.
ეს „ბურჟუაზიული“ ფლანგი ნამდვილ ეროვნულ ტრადიციის მრჩეველთა და ვაჭართა შეთანხმებით კი არ მოქმედებდა, არა, „ბურჟუაზიული“ რეორგანიზაცია საპარლამენტო ფრაქციისა იყო ფარდა, რომლის უკან აკეთებდა თავის საქმეს აკაკი ხოშტიარის და რადენ დათეშვიძის ცნობითა ჯგუფი. ამ ჯგუფის სპეკულიანტო პავლენია იყო, რასაკვირველია, არა იდეური, არამედ ფინანსური, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბნით ხოშტიარია დათეშვიძის მადლი არა ერთხელ მოცხებია ფრიად მარცხენა, სოციალისტურ განწყობებსაც (თავის „დასასტრახავად“, ალბად). აი ამ ჯგუფს ვროვნულ საბჭოს საპარლამენტო მოქმედების დროს ვერის ვხვთ ვერ მოხვედრბინა ჩვენი ოპოზიციური ტაქტიკა; მათ უნდოდათ „თავის კაცი“ მთავრობაში სხვა და სხვა კომბინაციისათვის. ამიტომ იყო, რომ, მიუხედავად პარტიის დადგენილებისა გიორგი უფრული დაარჩინეს მთავრობაში და ერთად დროს მისთვის „ზომიერ სოციალისტურ მრწველთა ჯგუფსაც“ კი, ახრ-

სტანდარტს. ეს კვლევა იქნა დასრულებული და, რათა ისეთი რეორგანიზაცია მოედინა ჩვენს ფრაქციას, რომ დამოუკიდებელი ნაციონალისტების ხმა ჩამოვხრებოდით და თავისუფალ სკამზე მათი „პრივილეგიები“ და ავტორიტეტი დაეცა, ალბათ ფრანგული პარლამენტის ტრადიციის შესაქმნელად. ა. ხოშტარიას და რ. დათვიძლის ამ საქმეში უმხარობა ის ნაწილი ჩვენი პარტიის ხელდასრულებულია, რომელიც პირად კარიერას ასე კარგად აჯობდა ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიულ მუშაობასთან; სოციალ-დემოკრატია თავის მხრივ ხელს უწყობდა ჩვენი პარტიის შემარცხენითა მოღვაწეობას იპიტომ, რომ მას უნდა მოეშორებინა პარლამენტთან დამოუკიდებელი ნაციონალისტები და მათ ალბათ დაეცა ის ხალხი, რომელსაც თვით ირაკლი წერეთელი ასეთი მოუძღვრებლობით ხან „ლარებს“ ეძახდა და ხან კიდევ ჰყენეს ზღაპრების უკულო ძაღლებს ადარებდა.

ამიტომ იყო, რომ ეროვნულ სამკოში, როცა ბორჯომზე შეკრებიდნენ დროს ავ. ხოშტარიას, რაჟდენ დათვიძლს და მათ კომპანიას მთელი საპროტესტო თვალ წინ მთავრობამ თავი მოსკრა და „ტყავისა“ და „პრობისა“ საკულთაობის ბრალი მიუღეს ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას მოეხიბა თავს, ამის შემდეგ სპეკულიანტები და ჩვენი პარტიის შემარცხენი ფლანგის წევრები, „სამპიან“ ნიადაგზე, მაინც ერთად იყვნენ და არიან.

კიდევ უფრო მეტი სკანდალი მოვიდეს რ. დათვიძლის და ა. ხოშტარიას საპროტესტის და მისი სამსახურში შუიშო ზოგორი ნაციონალ-დემოკრატების ამას იქით სხვა და სხვა ეკონომიურ შეკრებების დროს (პურის საკითხი, ფულის საკითხი და სხვა ბევრი).

უკოლა და ცხოვრება.

(ერთიანი უკოლა)

უკანასკნელ ხანებში გაძლიერდა ბრძოლა უკოლის გაერთიანებისათვის. თვითმპყრობელობის დროს სახალხო განათლება ქაოსს წარმოადგენდა. უკოლის ყველა საფეხური მოწყვეტილი იყვნენ ერთმანეთს. დაბალი უკოლიდან დაწყებული იყო გზა შემდეგ საფეხურის, სახალხო უკოლაში, ამ უკანასკნელიდან—საშუალო სასწავლებელში; ყველა საშუალო სასწავლებელი ვერ მივიყვანდათ უმაღლეს სასწავლებელში და სხ. აქ განგებ იყო შექმნილი ათასი დაბრკოლება ყმაწვილსათვის, რომ მას განსწავლული ქონდა დასრულებული განათლების მიღება. ამას ვარდა უკოლები განსწავლული იყვნენ სხვა და სხვა უწყებათა ხელში. ზოგი განათლების სამინისტროს ექვემდებარებოდა, ზოგი სასულიერო უწყებას, ზოგი გზათა სამინისტროს, ზოგი მიწათმოქმედების და ზოგი ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს. სხვა და სხვა უწყებათა უკოლებში სხვა და სხვა პრაგმატები, წესები და ადათები იყო გამეფებული. ეს მოვლენა არა ნორმალური იყო და მის წინააღმდეგ თავგანთავსებით იბრძოდა სალი პედაგოგიური აზროვნება. როდესაც თვითმპყრობელობა დაემხო, რა თქმა უნდა ამ ქაოსსაც ბოლო უნდა მოეღებოდა.

მაგრამ ეს უკოლათა გაერთიანების პროცესი ჩვენში, სამწუხაროთ, კუს ნაბიჯით მიდის წინ. ჯერ არ არის ფორმალურად დაკანონებული, რომ პირველ-დაწყებითი, უმაღლეს დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი უკოლები წარმოადგენდნენ ერთი უკოლის სხვა და სხვა საფეხურებს, რომ ერთიდან შემდეგ შეიძლება გამოუყვლიათ გადასვლა. მეორეს მხრივ რაღაც უზინარი ძაღვ ელოდება ყველა უკოლათა ერთი უწყების სახალხო განათლების სამინისტროს ხელში გადასვლას. ეს უზინარი ძაღვ არის მიწათმოქმედების სამინისტრო, რომელსაც ვერ გამოსტაცეს ხელიდან სამეურნეო უკოლები. ამ საკითხში მინისტრები ვერ შეთანხმდნენ. ცხადია ეს კითხვა უნდა გადაიჭრას პარლამენტში.

როგორც ყველას ახსნეს ერთი თვის წინათ იყო დასმული ეს საკითხი ეროვნულ საბჭოს დიპლურ წესრიგში. ფრაქციებმაც განიხილეს, მაგრამ პლენუმში გატანის დროს სადაც დაიკარგა და დიპლურ წეს-რიგში არ მოხვდა. გვიხარის: უწყებები ვერ შეთანხმდნენ და შემდეგ სხდომაზე გაირჩევა. შემდეგი სხდომისათვის კიდევ დაისვა, ჩავრამ ისევ იმავე მოტივით ამოღებულ იქნა. ბოლოს, როგორც მასხავს მესამედაც დაისვა და მაშინაც დაიკარგა პლენუმში გადატანის დროს და მას შემდეგ აღარც გამოჩენილა. არც ვიცით რა ბედი ეწია ამ საკითხს. საკითხი კი საშურია, სწავლა იწყება, განათლების ძირითადი კონსტიტუცია მუშავდება და არც კი ვიცით ვის ხელშია უკოლების სხვა და სხვა ტიპები. ახლა ვიცით თუ რა საბუთით ებღაუბრება მიწათმოქმედების სამინისტრო სამეურნეო უკოლებს?

ის საბუთი, რომ ეს უკოლები მეურნეობის აყვავებას ემსახურებიან და მეურნეობა კი მხოლოდ მიწაზე შეიძლება, საკმარისი არ არის. ასე რომ ვინაგრით, მაშინ ყველაფერი ძველებურათ უნდა დარჩეს, ე. ი. კომერციული სასწავლებლები—ვაჭრობა-მრეწველობის აყვავებას ემსახურებიან და ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს უნდა ექვემდებარებოდნენ. სახელისწილი სასწავლებლები—შრომის სამინისტროს, რკინის გზის სასწავლებლები—გზათა სამინისტროს; ეს მსჯელობა იქამდის მიგვიყვანს, რომ უნფერსიტეტის სხვა და სხვა ფაკულტეტები სხვა და სხვა სამინისტროს ხელში უნდა იქნენ.

მეორე მხრივ ზოგადი პედაგოგიური მსახურებები საკითხით ეწინააღმდეგებიან მიწათმოქმედების სამინისტროს ღრუ ღვას. საქმე ის არის, რომ ტყუილია გონია ამ სამინისტროს, თითქმის მარტო სამეურნეო სასწავლებლები ისახავდნენ პროფესიონალურ მიზანს, თუ ამდენ ხანს ასე არ იყო, აწი მაინც სადავო არ არის, რომ ყველა სასწავლებელს უნდა ქონდეს დასახული პრაქტიკული, უტილიტარული მიზნები, სასწავლებლები უნდა ამახადდეს მოქალაქეს და უნდა აღჭურვოს ის ყველა იმ ცოდნით, რაც საჭიროა ცხოვრებაში, და თუ მარტო

მეურნეო სასწავლებლებში უკონ დასრულებული იქნენ მიწათმოქმედების ცხოვრებისათვის და სხვები არა, ეს დიდი უზედურება იქნებოდა ქართველი ხალხისათვის. პროფესიონალური განათლება უნდა მისცეს ყმაწვილს ყველა სასწავლებელში, მაგრამ როდის? აი კითხვა, რომელიც ამ ბოლო ხანებში საქართველოში გაშუქებული. პროფესიონალური უკოლები არიან ის სახელისწილები, სადაც ამოძრავდებიან ყმაწვილის სულიერი და გონებრივი ძალები. იქ აღმზიან თავის ნიჭს და გონებას ამა თუ იმ საქმეზე მოიხმარს, მოიხმარს იმ საქმეზე, რომელიც ეგუება მისი ნიჭის თავისებურებას, ხასიათს, ადამიანები ერთნაირათ არ არიან შექმნილნი, ზოგს უფრო ეტერება მათე მათიკა, ზოგს კიდევ სხვა დარგი მეცნიერებისა და პროფესიისა. მაგრამ ადამიანის გონებრივი ძალები ამა თუ იმ დარგში ამოქმედება გულისხმობს, რომ წინააღმდეგ ეს ძალები განვითარებული და ჩამოყალიბებული არიან, რომ მათი ხასიათიდან მიდრეკილება გამოჩნდეს, აი ეს წინასწარი მომზადება: ადამიანის გონებრივი და სულიერი ძალების განვითარება, მათი ხასიათის გამორკვევა, მათი გაძლიერება იმდენათ, რომ ისინი გამოსადეგი იქნენ პრაქტიკულ ცხოვრებაში ასამუშავებლათ—უნდა შეადგენდეს საზოგადო განათლების მიზანს და მაშასადამე, ეს საზოგადო განათლება უნდა წინ უძღოდეს პროფესიონალურს. თუ ეს დებულება მისაღებია, მაშინ დღევანდელი სამეურნეო უკოლები არ შეიძლება იმ საბუთით ბრუნდებოდნენ, უნდა მოხდეს მათი რეორგანიზაცია ისე, რომ ისინი შეადგენდნენ სახალხო უკოლის (საზოგადო განათლების) ადამტებას. უპირველესათ ყმაწვილმა უნდა მიიღოს საზოგადო განათლება და როდესაც მისი გონება განვითარდება, მისი მიდრეკილება გამოჩნდება. შემდეგ ის უნდა გადავიდეს პროფესიონალურ კურსებზე, ეს პროფესიონალური კურსები თან უნდა ახლდეს ყველა საზოგადო განათლების სახალხო უკოლას, ზოგან სამეურნეო, ზოგან სახელისწილო, ზოგან სარკინისგზო, ზოგან საკომერციო—ერთისიტყვით იმ ხასიათის, რომელსაც მოითხოვენ ადგილობრივი პირობები და ხალხის ადგილობრივი კულტურა. სამეურნეო განათლება არაფერს განსაკუთრებულს არ შეადგენს, ის ისეთივე საპროფესიო სწავლაა, როგორც სხვა ბევრი და თუ სხვა საპროფესიო უკოლები კი შეიძლება სახალხო განათლების სამინისტროს ხელში იყოს, სამეურნეო სასწავლებლებსაც იქა აქვთ ადგილი. საპროფესიო სასწავლებელი უნდა იყოს მილით სახალხო უკოლის ნაწილი და შეუძლებელია რომ რაიმე საგნის ერთი ნაწილი ერთს უწყებას ებაროს და მეორე მეორეს, შეუძლებელია რომ ერთი და იმავე სხეულის თავი განათლების სამინისტროს ხელში იყოს და ფეხები და ხელები მიწათმოქმედების, ვინაიდან, როგორც მოგვსენებთ, თავსა და ხელფებს შორის ძალიან მკიდრო კავშირი არსებობს. დარჩა მხოლოდ ერთი საბუთი: ის, რომ სამეურნეო სასწავლებლები მიწაზე მოღვაწეობენ, მაგრამ რკინის გზებზე და სხვა ყველაფერი მიწაზე და მხედრობის და ამ საბუთით ყველა სამინისტრო უნდა გავაუქმოთ და მათი ფუნქციები მიწათმოქმედების სამინისტროს ხელში უნდა გადავუბრუნოთ.

ციებიც მიწათმოქმედების სამინისტროს ხელში უნდა გადავსცეთ. ერთი სიტყვით არ არსებობს არაერთი სალი მოსახრება, რომელიც ამართლებდეს სამეურნეო სასწავლებელთა მიწათმოქმედების სამინისტროს ხელში დატოვებას და ეს უკანასკნელი ისევე უნდა გამოთხოვოს მათ, როგორც ეს სხვა უწყებებმა ქნეს. უნდა მოხდეს ყველა ტიპისა და საფეხურის უკოლების სახალხო განათლების სამინისტროს ხელში კონცენტრაცია. საინტერესოა ეს საკითხი როდის დაიწყება ეროვნულ საბჭოში!

მასწავლებელი

საღვიგაგალო კომისიას მ უკოლის გამო.

უკვე წელიწად ნახევარზე მეტია, რაც გაისმა ძლიერ მოსილი ყვირია მშრომელი ხალხისა, რაც ეს უკანასკნელი შეუღდა საუკუნეთაგან ნაანდერძევი ხუნდების მტკრევას, მაგრამ, სამწუხაროთ, ჯერ კიდევ ცოცხალია ბევრი და უმთავრესი რეკოლები ამ ხუნდებისა. წელიწად ნახევრის რევოლუციონურ ტალღათა ხეტებამ ვერ განადგურა უმთავრესი ბურჟი ძველი დახავსებული საზოგადოება. ავიღოთ თუნდა აგრარული საკითხი, ეს საკითხი, რომელიც დღე დღე რევოლუციის ქვეყნებდს შეადგენდა ჩვენში დღესაც გადაუჭრელია. ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნეთ ჩვენს გახეობაში ამის მიზეზები, ჩვენ ვამბობდით რომ ამ დაგვიანების უმთავრესი მიზეზი არის ის უზარმაზარ გარემოება, რომ თვით მმართველი პარტია განიცდის დიდ რყევას ამ საკითხში, რომ თვით სსც. დემოკრატიამ არ იცის როგორ გადასჭრას აგრარული საკითხი. ჩვენ ახლა ამ მხარეს არ შევიხებთ, ჩვენ გვინდა პრაქტიკით უზარალებთა სულ სულ გარეგობას. იმის მხრივ, თუ რა გაცოდა ამ საკითხში, შეიძლება საქართველოს მიწა წყალი გავყოთ სამ კატეგორიით: 1) სადაც გლეხებმა არ დაუტოვეს მთავრობას და რევოლუციონერის გზით თავისებურათ გადასჭრეს მოწის საკითხი, 2) სადაც გლეხებმა დაიკადეს და მთავრობამ მოასწრო მიწების ჩამორთმევა და 3) სადაც გლეხები დღესაც იციან და იპამდის არც მთავრობას მიუღწევიან და არც რევოლუციონერს უმთავრესად მიმდებ კომისიას წინ ელოდება გლეხების უნდობლობა. ისინი სამართლიანათ კითხვობდნენ: რისთვის მოდი თქვენ? თუ ჩვენთვის ვინდით მიწები, რათ შეუწხდით, ჩვენ უთქვნილი მივღეთ მიწები და ახლა საჭირო აღარ ბრძანდებითო. და თუ მაინც იბარებთ მიწებს, რაც ფაქტურათ ჩვენ გვეკუთვნის, ეს ალბათ იმტომ, რომ ვინდით მიწებს ვინდით და თუ გვენებათ, მიზეზი მრავალი ექცვის. რაც შეეება მეორე და მესამე კატეგორიის მიწებს, აქ არსებობს ერთი ძირითადი გავუმტრობა: საქმე ის არის, რომ სადაც უზარმაზრო კომიტეტებმა მოახდინეს განკარგულება, რათა ჩამორთმეული მიწებიდან გლეხებმა ვადიხადონ ნატურით სახელმწიფოს სასარგებლოთ—1 ხარისხის მიწებზე—

1/3 მოსავლისა, 2 ხარისხისა—1/2, 3 ხარისხისა—1/3, და მეოთხედაც—1/4. ეს უნდა აღვნიშნოთ არ გვეღვიგებენ ციკლიკებზე, სადაც კომისიამ ვერ მოასწრო მიწების მიღება და საკითხი მთი შენახებ რჩება ღიით. აქ საკითხავია: როდის ერთმანეთს მიწა მემამულეს: 27 მარტს, თუ მაშინ, როდესაც მას მიმღები კომისია ესტუმრება. თუ 27 მარტის დებულება არის კანონი, ის უნდა შედიოდეს ძალაში ერთხა და იმავე დროს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი კანონი, რომელიც ერთხა და იმავე სახელმწიფოში შედის ძალაში სხვადასხვა დროს, იმი მიხედვით, თუ როდის მოეპირიანება რომელიმე მიწის მშომელს სოფელ წაბრანება და ადგილობის გაზომვა? ის შეუძლებელია. ვარდა ამისა იქნება დიდი უხერხულობა: მაშინ როდესაც ერთი სოფელში მოასწრეს და მამულები ჩაიბარეს, მის მეზობელ სოფელში ეს არ მოესწრო. პირველი სოფლის მემამულეები კარგვენ მოსავლას, რომელიც გადასახედა და მეორე სოფლის მემამულეები კი არაფერს არ კარგვენ და მოსავალი ხაზინის მაგიერ მათს ბელღებში ჩაჩრიალდება. ცხადია, რომ პირველი სოფლის მემამულეები ამასი დიანახავდნენ დიდს უსამართლობას და სამართლიანად აცხადებენ უკმაყოფილებას. მე ასე შემომჩვიეს მამულ ახთილმა მემამულეებმა: კაცო რანირი კანონებს იმუშავებს თქვენი პარლამენტი, რა დავაშავე მე, რომ მამულები ჩამომართვს და წელს ერთი ჯამი სიმინდი არ შექნება, და რა ვააცივებს ჩემმა მეზობლებმა, რომ მათ არ ჩამოართვეს და ზღაღებს აიყვებნო. მართალია მე ვანუგეშე, რომ მათაც მალე ჩამოართმევენ მეტე, მაგრამ როცა კითხვა შეეება წლეგანდელ მოსავალს, აქ პასუხი აღარ არსებობს. მართლაც რას ნიშნავს სადაგლიმანულო კომიტეტის განკარგულება: ეს დადგინდება არ ვრცელდება იმ ადგილებზე, სადაც მიწები მიღებული არ არიან? წლეგანდელი მოსავალი არც ისე მცირე საფასურის საქმეა, რომ ასე ვადევყოთ, ეს დღევანდელ ფასობაზე მარტო ერთს სოფელში შეადგენს მილიონების საფასურს და როგორ შეიძლება ამდენი ზარალი მივაყვანოთ სახელმწიფოს კომიტეტის დაუდევრობით? ჩვენ სასტიკი წინააღმდეგი ვიყავით და ვართ რომ გლეხებს ვინდით მიწებს, ჩვენ სასტიკი წინააღმდეგი ვართ და ვიქნებით ამის, რომ გლეხებს თავისი ნაშრომი გამოსტაცოს სახელმწიფომ, მაგრამ თუ საკითხი ასე დაისმება: ვის უნდა გვეუფლებდეს ღალა—მემამულეებს თუ სახელმწიფოს, ჩვენ უფრო შეუფრავდებით მეორე შემთხვევას, როგორც დროებით ზომას, მხოლოდ იმტომ, რომ ეს არის დადგენილება მთავრობისა, რომელიც შეცდომით იმავე გლეხობამ აირჩია. და როდესაც ეს მთავრობა კარგავს მილიონების შემოსავლას მხოლოდ იმტომ რომ ზოგან კომისიამ ვერ მოასწრო მიწების მიღება, ეს ჩვენ უაზრობათ მიგვაჩნია.

მშრომელი გლეხობა სოციალ-დემოკრატიის სამსჯავროს წინაშე.

(პასუხი ნ. ჟორდანიას) (გაგრძელება №29, 92)

ამ ნაირად, თუმცა ჩვენი გლეხობის წინააღმდეგ ნ. ჟორდანიამ მკაფიოდ და კატეგორიული ბრალდება წამოაყენა, მაგრამ კონკრეტული საბუთები ამის დასამტკიცებლად ჩვენი გლეხობის ცხოვრებიდან მას არ მოუყვანია, მაგრამ იქნებ გლეხობის კონტრ-რევოლუციონერობა იმდენათ ნათელია, რომ მას არც კი სჭირდება რაიმე დასაბუთება; იქნებ უკვე აქსიომია, რომ გლეხი, სადაც არ უნდა იყოს ის—რეაქციონერია.

სოციალ-დემ. სწორედ ასე ფიქრობს. ამიტომაც არ მიანიია ნ. ჟორდანიას ხაჭიროდ ქართველ გლეხობის მოძრაობას ანალიზი უყოს და შემდეგ დასადას და მანაშავეს სკამზე, ვნახოთ, რამდენათ გამართლა ცხოვრებამ ეს დებულება, ვნახოთ დარჩა თუ არა თავის აზროვნებაში და მოღვაწეობაში თვით სოციალ-დემოკრატია ამ დებულების ერთგული!

ვიდრე ამას შევხებოდეთ, საჭიროა მოკლედ აღვადგინოთ მარქსისა და მისი მიმდევრების შეხედულება გლეხობაზე საერთოდ.

შეგებობდი საკითხის ამ მხარეს *) აქ მოვიყვან მხოლოდ უფრო დამახასიათებელ ციტატებს. ნ. ჟორდანიას აზრობს, რომ გლეხობა ორნაირია: ჩამორჩენილი და მოწინავე, მაგრამ მარქსისტული აზროვნებისათვის გლეხობის ასე დაყოფა დამახასიათებლად ვერ ჩაითვლება. ცნება ჩამორჩენილი და მოწინავე იდეოლოგიური ცნებაა. ის ვერ გამოადგება ისტორიული მატერიალისტისათვის, რომელსაც ყველაფერი მატერიალისტურად სურს ახსნას. მარქსი თავის კომუნისტურ მანიფესტში პირდაპირ აცხადებს, რომ საშუალო წრეები—მთ შორის გლეხობაც—რეაქციონერები არიან. რუსეთისა და ჩვენებური მარქსისტები უფრო შორს წაივლინ.

აი რას სწერენ გლეხობის შესახებ რუს მარქსისტები. „ვიდრე პიროვნებას აქვს საშუალება ექსპლოატაცია უყოს საკუთრებას, თუნდაც ეს ექსპლოატაცია არაფერს იძლეოდეს, მანამდის ფსიქოლოგია ამ პიროვნების, ანუ უკეთ კლასის ისეთია, რომ ის მისწრაფის საკუთრება დააგროვოს, შეი-

ძინოს. გააფართოვოს. არავითარ სოციალურ რეფორმებს არ ძალბობთ გაიტაცონ მესაკუთრეთა კლასი, ვინაიდან სოციალისტური მოძღვრება ეწინააღმდეგება მათ“ („Шаг у личности существовать возможность эксплуатировать собственность, хотя бы эта эксплуатация давала в результате нуль, до тех пор психология этой личности или влрнне класса, таково, что она стремится къ накопленю, къ приобретению и увеличению собственности. Никакия социальныя реформы неспособны увлечь за собой класса собственники, ибо учение социализма противоречитильности“ **) „წერილი მესაკუთრე, რომელსაც აქვს თუნდაც აწრილო საკუთრებისა, სრულებით ეწინააღმდეგება პროლეტარს“ (Мелко собственникъ, владѣющій хотя бы призракомъ собственности, совершенно противоположенъ пролетарию“ **) ერთი სიტყვით, თუ რაიმე საკუთრება აქვს ადამიანს, თუნდაც ეს საკუთრება მიჩვენება იყოს, თუნდაც ეს საკუთრება არავითარ სარგებლობას არ იძლეოდეს. ან როგორც ციტატა ამბობს, „Давала в результате нуль“.

„შრომელი გლეხი თავის დამოუკიდებლობაზე უფრო ფიქრობს, ვიდრე სოციალიზმზე. ის (ე. ი. მშრომელი გლეხი) ისე ვაგს ფაბრიკის მუშას, როგორც ბაყაი ჰანაშვილს“ („Каждый трудовой мужикъ думаетъ больше не о социализмѣ, а о своей „самостоятельности, и на рабочаго фабричнаго онъ похожъ такъ же, какъ лягушка на панахиду“ *) ასეთივე აზრები იმეორებდნენ ჩვენებური სოციალ-დემოკრატებიც, სოციალ-დემოკრატიული გახეით „დილა“ მაგ. სწერდა: „გლეხი მუშას ისე ვაგს, როგორც ბაყაი ცისარტყელას“ *) ასე ძლიერი იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში ანტი გლეხური მიდრეკილება. სოციალ-დემოკრატებს გაგონებაც არ უნდოდათ მშრომელი გლეხობის რევოლუციონურ და პრაგრესიულ როლზე. ამიტომ ისინი სასტიკად გვებრძოდნენ ჩვენ და სხვადასხვა შეუფერებელ ემატებებით გვაეკობდნენ. ზოგი მათგანი

*) ის ჩვენი წიგნაკი „რის ამბობენ სოც.-დემოკრატები გლეხობის შესახებ“.

**) ი. აგრარный вопросъ въ Россіи съ марксист. точки зрѣнія გვ. 19.

*) Ст. Деревенскій „что гов. С-Р и С-Д про землю“.

*) ი. გახეით „დილა“ № 8.

ვა, რომელიც ლეჩხუმში ყოფნის დროს...

ფულის გატაცების გამო. საგუბერნიო...

სამხედრო მემორიალური პირობა.

17 ამა სექტემბერს ქ. თბილისში მოხდა...

მემორიალური პირობა გადავიდა იმ ბოროტ...

კომბინირებული ბრძოლა განსაკუთრებით...

კომბინირებული ბრძოლა განსაკუთრებით...

ორივე სიტუაციაში...

რომ სპეკულიაციამ მიადგინა უმაღლეს...

ნებით ჩაის, ყუთობით ფართულფეხობას...

კატარა ავადი.

საფრანგეთის პრესაში დიდი ყურადღებით...

მოსკოვიდან კვიევიში მიმავალი მატარებელი...

ბოლშევიკური პრესა სულს ჩრდილოეთში...

ინგლისელმა გაგზავნეს სპეციალური ექსპედიცია...

კომბინირებული ბრძოლა განსაკუთრებით...

კომბინირებული ბრძოლა განსაკუთრებით...

ჯიქეთის (სოჭის ოლქის) სოციალისტური...

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე...

1. რუსეთის სახელმწიფოს გაერთიანების...

2. რუსეთის დემოკრატია იმყოფება სამოქალაქო...

3. ერთადერთ ნაწილს ყოფილი რუსეთის...

4. ისაავე რა მიზნით რუსეთის სხვადასხვა...

5. თუმცა ჯიქეთი ეკონომიკურად მიიღებს...

6. ჯიქეთში ცხოვრების განვითარება ფაქტურად...

საპრესო მუშაობა...

ქუთაისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა...

სოჭის ოლქიდან.

საქართველოს მთავრობამ სოჭის ოლქიდან...

სოჭის ოლქის დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობის...

სოჭის ოლქის დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობის...

პროფესიონალური კავშირები.

ეს ერთი თვე არ იქნა და არა არ შესდგა...

ეს ერთი თვე არ იქნა და არა არ შესდგა...

ეს ერთი თვე არ იქნა და არა არ შესდგა...

ეს ერთი თვე არ იქნა და არა არ შესდგა...

ეს ერთი თვე არ იქნა და არა არ შესდგა...

ეს ერთი თვე არ იქნა და არა არ შესდგა...

ეს ერთი თვე არ იქნა და არა არ შესდგა...

საქართველოს მთავრობის...

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე...

Advertisement for 'Soviet Union' (სსრკ) featuring a portrait of a woman and text about a magazine or publication.